# ბანქო - ნახატი და ნაწერი

მოსწავლეები სიტყვებისა და ნახატების ბანქოდან შეარჩევენ შეთავაზებული ნახატის შესაბამის სიტყვას ან პირიქით – სიტყვის შესაბამის ნახატს.




**კლასი:** I-II

**მუშაობის ფორმა:** ორი ან მეტი მოთამაშე.

**რესურსი:** ბანქოს ზომის ბარათების დასტა სიტყვებითა და ნახატებით.

**მსვლელობა**

- მასწავლებელი ამზადებს წყვილების ბანქოს დასტას. ბარათის წყვილი შედგება ნახატისა და ნაწერისაგან. ერთ ბარათზე წერია სიტყვა, მეორეზე კი მისი შესაბამისი გამოსახულებაა. მაგალითად:

- მასწავლებელი თითოეულ მოთამაშეს (მოსწავლეს ან მოსწავლეთა წყვილს) დაურიგებს თანაბარი რაოდენობის სიტყვის ბარათებს.
- მასწავლებელი დაიტოვებს ნახატებიან ბარათებს, რომლებსაც დაიკავებს ხელში ან დააწყობს მაგიდაზე, ნახატით ქვემოთ.
- თამაშის დასაწყებად მასწავლებელი დადებს (ან ამოაბრუნებს) მაგიდაზე ერთ ნახატიან ბარათს.
- მოსწავლეები ეძებენ მაგიდაზე დადებული ნახატიანი ბარათის შესაბამის სიტყვას თავიანთ ბარათებში.
- შესაბამისი სიტყვის მოძებნის შემთხვევაში მოსწავლე სიტყვის ბარათით „გაჭრის“ ნახატიან ბარათს და შემდეგ ორივეს აიღებს.
- გამარჯვებულია ის მოსწავლე (წყვილი), რომელიც ბარათების ყველაზე მეტ წყვილს დააგროვებს.